IBSU

# სამოტივაციო ესეს შეფასების კრიტერიუმები
# მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამა

სამოტივაციო ესეში კანდიდატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ ასპექტებზე:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის მოტივაცია
- საკუთარი სამომავლო მიზნები და გეგმები
- დასაბუთება, თუ როგორ დაეხმარება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დასახული მიზნების განხორციელებაში

| კანდიდატმა უნდა დაწეროს 500 სიტყვა. გამოცდას ეთმობა 90 წუთი. | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **კომპონენტი** | **ბრწყინვალე (4 ქულა)** | **კომპეტენტური (3 ქულა)** | **საჭიროებს დახვეწას (2 ქულა)** | **სუსტი ნაშრომი (1 ქულა)** | **შეფასება** |
| **ესე და მისი თემასთან შესაბამისობა** | კანდიდატმა წარმოადგინა ორიგინალური ესე, რომელშიც გზავნილი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ნაშრომი სრულად შეესაბამება დავალებას. | კანდიდატმა წარმოადგინა ესე, თუმცა ის ნაკლებად ორიგინალურია და/ან რიგ შემთხვევებში სრულად არ შეესაბამება დავალებას. | კანდიდატი გადმოსცემს მთავარ გზავნილს, თუმცა წარმოდგენილი ესე არ არის ორიგინალური და უმეტეს შემთხვევაში გზავნილი არ არის ნათლად გადმოცემული. | კანდიდატი ვერ ახერხებს მიზნის ნათლად ფორმულირებას და წარმოდგენილი ნაშრომი სუსტად პასუხობს წარმოდგენილ დავალებას. | |
| **ორგანიზება და ლოგიკური თანმიმდევრობა** | კანდიდატმა წარმატებით წარმოადგენა ზედმიწევნით ორგანიზებულ სამოტივაციო ესე, | კანდიდატმა წარმოადგინა ორგანიზებული სამოტივაციო ესე, რომელიც შედგება შესავლისაგან, | კანდიდატმა წარმოადგინა სამოტივაციო ესე, თუმცაღა შესავალი ან ძირითადი ნაწილში მოცემული აბზაცები | კანდიდატმა ვერ წარმოადგინა ორგანიზებული სამოტივაციო ესე. მოსაზრებები არ არის ნათლად | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რომელიც შედგება შესავლისაგან, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. თითოეულ განყოფილებაში (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) წარმოდგენილი ინფორმაცია სრულიად შეესაბამება დავალებას და თხრობაც ლოგიკური და თანმიმდევრულია. | ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან, თუმცაღა ზოგიერთი აბზაცი არ არის თანმიმდევრული და გარკვეული მოსაზრებები არ არის ლოგიკურად ორგანიზებული. | ნათლად არ გადმოსცემენ მოსაზრებებს და არ არის ლოგიკურად გადმოცემული. დასკვნაში სრულად არ არის შეჯამებული ესეში გადმოცემული ყველა ძირითადი გზავნილი. | ფორმულირებული და არ არის ლოგიკური თანმიმდევრობა. ნაშრომი ვერ აკმაყოფილებს აკადემიური ნაშრომის მოთხოვნებს. | |
| **გრამატიკა და სტილი** | კანდიდატმა წარმოადგინა გრამატიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით ზედმიწევნით გამართული ნაშრომი, რომელიც სრულად პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს. | კანდიდატმა წარმოადგინა ნაშრომი, რომელშიც არის მცირე გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციის შეცდომები. ნაშრომი ნათლად გადმოსცემს აზრებს და პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს. | კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია გრამატიკული, მართლწერისა და პუნქტუაციის შეცდომები, რომლებიც რიგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას. | კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მნიშვნელოვანი შეცდომებია გრამატიკის, მართლწერისა და პუნქტუაციის თვალსაზრისით და უმეტეს შემთხვევაში ეს შეცდომები ხელს უშლის აზრის გაგებას. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ხედვა და სამოქმედო გეგმა** | კანდიდატი ნათლად აყალიბებს საკუთარ ხედვასა და მოტივაციას, თუ რატომ უნდა ჩაერთოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში; ასევე ნათლად აყალიბებს, თუ როგორ შეუძლია საკუთარი გეგმების განხორციელება და როგორ დაეხმარება პროგრამა ამ გეგმების რეალიზებაში. | კანდიდატი აყალიბებს საკუთარ ხედვასა და მოტივაციას, თუ რატომ უნდა ჩაერთოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში; ასევე აყალიბებს, თუ როგორ შეუძია საკუთარი გეგმების განხორციელება და როგორ დაეხმარება პროგრამა ამ გეგმეის რეალიზებაში. | კანდიტატმა წარმოადგენს საკუთარ ხედვასა და/ან მოტივაციას, თუ რატომ უნდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა, თუმცაღა თხრობა ბუნდოვანია და ნათლად არ არის დასაბუთებული, თუ როგორ დაეხმარება პროგრამა მიზნების რეალიზებაში. | კანდიდატი ნათლად ვერ წარმოადგენს საკუთარ ხედვასა და სამოქმედო გეგმას, თუ როგორ დაეხმარეა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საკუთარი მიზნების განხორციელებაში. | |
| **კონკრეტული მაგალითები** | კანდიდატი აღწერს შესაბამის გამოცდილებას, მაგალითებსა და შემთხვევებს, რომლებიც სრულად და ლოგიკურად ასაბუთებენ სამოტივაციო ესეში წარმოდგენილ არგუმენტებსა და მოსაზრებებს. | კანდიდატი აღწერს შესაბამის გამოცდილებას ან მაგალითებს ან შემთხვევებს, რომლებიც უმეტესწილად ასაბუთებენ სამოტივაციო ესეში წარმოდგენილ არგუმენტებსა და/ან მოსაზრებებს. | კანდიდატი უმეტესწილად ვერ ახერხებს შესაბამისი გამოცდილების, შემთხვევებისა და მაგალითების წარმოდგენას, რათა დაასაბუთოს სამოტივაციო ესეში წარმოდგენილი არგუმენტები და/ან მოსაზრებები. | კანდიდატი ვერ ახერხებს სათანადო არგუმენტების, გამოცდილებისა და/ან მაგალითების წარმოდგენას, რათა დაასაბუთოს სამოტივაციო ესეში წარმოდგენილი მოსაზრებები. | |

*** კანდიდატის ნაშრომი შეფასდება 0-ით (ნულით), თუკი კანდიდატს არეფერი დაუწერია ან არ შეესაბამება მიცემულ დავალებას.**

**რჩევა ესეს შესავლისათვის**

- ნათლად ჩამოაყალიბეთ, თუ რა საკითხებს განიხილავთ სამოტივაციო ესეში
- შესავალში მოკლედ გაგვაცანით ის არგუმენტები და გეგმები, რომლებიც მოგვიანებით ესეს ძისითად ნაწილში ნათლანდ განსაზღვრავს კანდიდატის მიზნებს

**რჩევები ესეს ძირითადი ნაწილისათვის**

- ძირითადი ნაწილი მოიცავს აბზაცებს, რომლებიც ეხება და განავრცობს შესავალ ნაწილში წარმოდგენილი საკითხებს
- აბზაცები სტრუქტურულად ორგანიზებულია და ნათლად გადმოსცემენ ინფორმაციას
- აბზაცში წარმოდგენილი ყველა დებულება ხელს უწყობს აბზაცის მთავარ წინადადებაში ჩამოყალიბებული აზრის განვითარებასა და დასაბუთებას
- აზრების დამაკავშირებელი სტრუქტურული სიტყვები მკითხველს მსჯელობის მიყოლაში ეხმარება
- აბზაცის ბოლო წინადადება (წინადადებები) შეაჯამებს აბზაცში ჩამოყალიბებულ მთავარ იდეებსა და არგუმენტებს

**რჩევები დასკვნითი ნაწილისათვის**

- დასკვნითი ნაწილი შეაჯამებს ესეში განვითარებულ ყველა არგუმენტსა და დებულებას და ნათლად წარმოაჩენს კანდიდატის მიზნებს.

**In the statement of purpose a candidate should focus on the following aspects:**

- Motivation for enrollment in Teacher Training Educational Programme
- Personal plans and objectives for the future
- Statement how Teacher Training Educational Programme will help with fulfillment of the objectives

| **A candidate should write 500 words. The exam will last 90 minutes.** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **Component** | **Excellent**<br><br>**(4 points)** | **Competent**<br><br>**(3 points)** | **Needs Refinement**<br><br>**(2 points)** | **Poor**<br><br>**(1 point)** | **Grade** |
| **Essay and focus** | A candidate is able to write a clearly articulated original essay with the focus on the assigned task. | A candidate is able to write an essay, however, it lacks originality or/and in some cases fails to focus on the assigned task. | A candidate is able to articulate the major purpose, but the produced essay is not original and in most cases fails to communicate the message clearly. | A candidate fails to communicate the purpose and the produced work only in few cases addresses the assigned task. | |
| **Organisation and coherence** | A candidate successfully produces a well-organised statement of purpose with introduction, main body and conclusion. Information provided in each section (introduction, body, conclusion) is relevant and the narrative is coherent. | A candidate produces an organised statement of purpose with introduction, main body and conclusion; however, some paragraphs lack coherence and the ideas are not organised in a logical way. | A candidate produces a statement of purpose; however, introductory or main paragraphs lack clarity and fail to communicate the message in a logical manner. The conclusion does not fully summarise all major messages of the statement of purpose. | A candidate fails to produce an organised statement of purpose. The ideas are not clear and there is no cohesion. The work does not follow the requirements for a structured piece of academic writing. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **Grammar and Style** | A candidate produces an accurate piece of work in terms of grammar, spelling and punctuation and overall writing is relevant to academic requirements. | A candidate produces work with minor mistakes in grammar, spelling and punctuation. Writing is clear and follows academic requirements. | A candidate produces work with moderate mistakes in grammar, spelling and punctuation which at times makes it difficult to understand the meaning. | A candidate writes with major mistakes in grammar, spelling and punctuation which mostly make it impossible to understand the communicated meaning. | |
| **Vision and Action Plans** | A candidate clearly states his/her vision and motivation for participation in the Teacher Training Educational Programme, defines clear plans how his/her goals can be achieved and how the program can support him/her in this effort. | A candidate states his/her vision and motivation for participation in Teacher Training Educational Programme, defines plans how his/her goals can be achieved and how the program can be of any support. | A candidate states his vision and/or motivation for participation in Teacher Training Educational Programme, however, his/her narrative lacks clarity and he fails to define how the program can be of any support in realisation of the goals. | A candidate fails to provide a clear vision and action plan of how his/her involvement in Teacher Training Educational Programme can be of any support in realisation of the goals. | |
| **Reflective Examples** | A candidate describes relevant experiences, examples and cases which fully and logically support the arguments and reflections developed in the statement of purpose. | A candidate describes relevant experiences or examples or cases which mostly support the arguments and/or reflections developed in the statement of purpose. | A candidate mostly fails to provide relevant experiences, cases or examples to support his/her arguments and/or reflections developed in the statement of purpose. | A candidate fails to produce relevant arguments, experiences or cases supporting the reflections developed in the statement of purpose. | |

*** A candidate is given 0 if he/she is not able to produce any work or the produced work is not relevant to the assigned task.**

## Tips for the Introduction

- clearly states what issues the statement of purpose will cover
- introduces the arguments, plans and statements which are supposed to define a candidate’s purpose

## Tips for the Main Body

- contains paragraphs which refer to and develop the issues outlined in the introduction
- paragraphs are well-organised and clearly communicate information
- all supporting statements develop the idea outlined in the topic sentence
- transitions help a reader to easily follow ideas
- concluding sentence(s) summarise(s) the major idea/argument communicated throughout a paragraph

## Tips for the Conclusion

- summarises all major arguments and statements developed throughout the essay and clearly states a candidate’s purpose